საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრის მოადგილეს ბატონ გიორგი ხანიშვილს

ბატონო გიორგი,

თქვენი 2021 წლის 3 ნოემბრის N11442/01 წერილთან დაკავშირებით, რომელიც ეხება შპს „მეტიმპექსის“ მიერ 2021 წლის 26 ოქტომბერს (სამინისტროს რეგისტრაციის ნომერი N19219; 27.10.2021) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დადგენილ ხარვეზებს, გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული განცხადების სამინისტროს ოფიციალურ ვებ. გვერდზე განთავსების შემდეგ გამოვლინდა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იყო სრულად ატვირთული, კერძოდ, არ იყო განთავსებული საწარმოს ტერიტორიის GIS კოორდინატები shp ფაილების სახით, რის შემდეგაც გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტში სატელეფონო კონსულტაციის საფუძველზე კომპანიის მიერ 2021 წლის 3 ნოემბერს დამატებით/განმეორებით იქნა წარმოდგენილი საპროექტო ფეროშენადნობების საწარმოს განთავსების GIS კოორდინატები shp ფაილების სახით (იხ. შპს „მეტიმპექსის“ წერილი და დანართი; სამინისტროს რეგისტრაციის ნომერი N19640; 3.11.2021).

რაც შეეხება სამინისტროს ამავე წერილში აღნიშნულ საკითხს, კერძოდ: „გზშ-ის ანგარიშის სატიტულო გვერდზე არ არის მოცემული ინფორმაცია ანგარიშის მომამზადებელი ორგანიზაციის/პირის შესახებ, შესაბამისი ხელმოწერით“. გვსურს აღვნიშნოთ, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის (თავი I ზოგადი დებულებანი) მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის **(გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (ასეთის არსებობის შემთხვევაში))** შესაბამისად ინფორმაცია წარმოდგენილია გზშ-ის ანგარიშის 1.2 თავში (გვ. 8-9).

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და თქვენი 2021 წლის 3 ნოემბრის N11442/01 წერილის გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ წარმოგიდგენთ საწარმოს განთავსების ტერიტორიის GIS კოორდინატებს shp ფაილების სახით, ხოლო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული სხვა ყველა დოკუმენტაცია, რომელიც წარმოდგენილი იქნა 2021 წლის 26 ოქტომბერს (სამინისტროს რეგისტრაციის ნომერი N19219; 27.10.2021) რჩება უცვლელი და გთხოვთ გააგრძელოთ ადმინისტრაციული წარმოება.

დანართი:

1. საწარმოს განთავსების ტერიტორიის GIS კოორდინატები shp ფაილების სახით - ელ ვერსია.

პატივისცემით,

ვ. ახობაძე

ვლადიმერ ახობაძე
შპს „მეტიმპექსის“ დირექტორი
04. 11 2021

№ 19754
"04" 11 2021

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

ჩვენი 2021 წლის 26 ოქტომბრის წერილთან დაკავშირებით (სამინისტროს რეგისტრაციის ნომერი N19219; 27.10.2021), რომელიც ეხება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-10 მუხლისა და ქ. თერჯოლაში, შპს „მეტიმპექსის" ფეროშენადნობების საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 30 აგვისტოს N2-1298 ბრძანების შესაბამისად გაცემული N43; 24.08.2021 სკოპინგის დასკვნის პირობების მოთხოვნების გათვალისწინებით მომზადებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის და თანდართული დოკუმენტაციის წარმოდგენის საკითხს, დამატებით/განმეორებით წარმოგიდგენთ საწარმოს განთავსების ტერიტორიის GIS კოორდინატებს shp ფაილების სახით.

დანართი:

1. საწარმოს განთავსების ტერიტორიის GIS კოორდინატები shp ფაილების სახით - ელ ვერსია.

პატივისცემით,

ვლადიმერ ახობაძე

შპს „მეტიმპექსის" დირექტორი

ვ. ახობაძე

03.11.2021

№ 19640
"03" 11 2021
1/6304/4

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ ამავე კოდექსისა და ქ. თერჯოლაში, შპს „მეტიმპექსის” ფეროშენადნობების საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 30 აგვისტოს N2-1298 ბრძანების შესაბამისად გაცემული N43; 24.08.2021 სკოპინგის დასკვნის პირობების მოთხოვნების გათვალისწინებით მომზადებულ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად.

დანართი:

1. ფეროშენადნობების წარმოების (თუჯის, ფოლადის ან/და ფეროშენადნობების წარმოება, პირველადი ან/და მეორეული დნობის ჩათვლით) საწარმოს გზშ-ის ანგარიში - 1 ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
2. ზემოაღნიშნული საქმიანობის არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
3. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი - 3 ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
4. საწარმოს განთავსების ტერიტორიის GIS კოორდინატები shp ფაილების სახით და 1-4 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების ელ ვერსია - 1 CD;
5. გზშ-ის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ასლი;
6. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
7. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

პატივისცემით,

ვლადიმერ ახობაძე

შპს „მეტიმპექსის“ დირექტორი

ვ. ახობაძე
26.10.2021

N: 19219
27 10 21
1/5/CD